


# ქალების ცხოვრება ხელოვნურად შექმნილი ბარიერებით

ცოცხალი ისტორიების კრებული





მარიამი  
26 წლის, თბილისი

MARIAM  
26, from Tbilisi

ფსიქოლოგი ვარ და არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ პროფესიით. ქორწინებაში არასდროს ვყოფილვარ. დაუგეგმავად დაავორსულდი და აბორტის გაკეთება გადავწყვიტე. მზად არ ვიყავი ბავშვის გასაჩენად, ჩემს ოჯახსაც გაუჭირდებოდა ამის მიღება - დედასთან და ძმასთან ერთად ვცხოვრობ. მით უმეტეს, რომ ადამიანი, ვისგანაც ორსულად ვიყავი, დროებითი პარტნიორი იყო, რომელიც მხარს არ მიჭერდა.

გადავწყვიტე პირდაპირ მივსულიყავი გინეკოლოგთან. მეოთხე კვირაში ვიყავი, ნაყოფი იზრდებოდა, შემდეგ უფრო მეტ ემოციურ პრობლემას შევვჭახებოდი, ამიტომ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მალე გაკეთებულიყო პროცედურა.

კონსულტაცია და აბორტი საკმაოდ ძვირი ღირდა. მერე წამლებიც დამჭირდა. გამიჭირდა, რადგან მაშინ ვსწავლობდი და სტაბილური შემოსავალიც არ მქონდა. გამიმართლა, რომ იმ ზაფხულს ბათუმში ვმუშაობდი და ფული მქონდა დაგროვებული.

ძალიან რთული იყო პირველი ვიზიტი კლინიკაში. ექიმმა მაშინვე მკითხა დაოჯახებული თუ ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ აბორტის გასაკეთებლად მივედი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. კლინიკაში ცუდი მდგომარეობა იყო. კონსულტაციის დროს ექიმის კაბინეტში უცხო ადამიანები შემოდისოდნენ, რაღაცას ეტყობდნენ, რაღაცას აიღებდნენ, გადიოდნენ - არანაირი ანონიმურობის განცდა არ იყო. პოლშიც ბევრი ადამიანი დადიოდა. ჩემამდე ვინც შევიდა იმ გოგონას აბორტს იქვე უკეთებდნენ, სისხლიან ინსტრუმენტებს იქვე რეცხავდნენ - ეს იყო ძალიან დამთრგუნველი.

ექიმები აბორტის გასაკეთებლად მისული ქალების სტიგმატიზებას ახდენენ. უემოციოდ აკეთებენ ყველაფერს. პროცედურაც დამთრგუნველია. არ გინწყობენ ხელს. აღგიქვამენ იმ ადამიანად, ვინც დიდი შეცდომა დაუშვა და არა იმად, ვისაც მხარდაჭერა სჭირდება.

I am a psychologist and I work at a non-governmental organization as a psychologist. I have never been married. When I learned about my unplanned pregnancy, I decided to have an abortion. I was not ready to have a child and, besides, my family would disapprove of me having a child outside of marriage. I live with my mother and my brother. In addition, at that time, I was dating a man who was my temporary partner and he did not want the child either.

As soon as I learned about the pregnancy, I decided to go straight to the gynecologist. It was during the fourth week of my pregnancy, and I knew I would have had to deal with even more emotional distress in case I had postponed the procedure. Therefore, the most important thing for me was to have that abortion done as soon as possible.

The consultation with a gynecologist and the abortion procedure were quite expensive. Besides, I needed medicines after the procedure. I could not afford it as I was studying and I was not earning a stable income. Fortunately, I had worked in Batumi that summer and I had saved some money.

My first visit to the clinic was rather dissatisfying. The first question the doctor asked me was whether I was married. Even though I went there determined to have an abortion, it was hard for me to make a final decision. The situation in the clinic was far from comfortable. During the consultation, some people would walk into the doctor's office either to tell her something or to borrow something and then they would walk out of the office; there was no such thing as anonymity there. There were a lot of people in the waiting room as well. A woman who had entered the doctor's office before me was having her abortion carried out directly in the office, so that I could see the surgical instruments being rinsed off blood. It was totally depressing.

Doctors tend to stigmatize women who come to them to have an abortion. They do everything without showing any emotions. The procedure is inconvenient. They are not supportive at all. They regard you as the one who has made a big mistake and not as the one who needs their support.



ანა  
23 წლის, იმერეთი

ANA  
23, from Imereti

აბორტი ერთი წლის წინ გავიკეთე. 22 წლის დავოჯახდი და მალევე დავკორსულდი. ძალიან მიხაროდა, გეგმებს ვაწყობდი. ჯერ არ ვიცოდი, რომ ტყუპები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, წარმოვიდგენდი როდის და როგორ დაიბადებოდა. ორსულობის დროს, ექიმთან პირველი ვიზიტისას მითხრეს, რომ რაღაც რიგზე არ იყო. 10 დღის შემდეგ ისევ დამიბარეს. მითხრეს რომ ნაყოფები არ ვითარდებოდა არც ერთი მილიმეტრით, არც გულისცემა ისმოდა, ამიტომ, თვლიდა რომ შეწყვეტილი ორსულობა იყო. ეს იყო ძალიან დიდი სტრესი ჩემთვის, რომელიც დღემდე მომყვება. იქამდე აბსოლუტურად გამოვრიცხავდი აბორტს. თუმცა, ექიმმა გადაჭრით მითხრა რომ ეს იყო გარდაუვალი. აბორტი გავიკეთე ძალიან ეიფორიულ სიტუაციაში. მხოლოდ და მხოლოდ ექოსკოპიის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება. ექიმმა ისე მითხრა რომ სასწრაფოდ უნდა გამეკეთებინა მედიკამენტოზური აბორტი, კაბინეტში არც შევუყვანივარ. ეს ყველაფერი ხდებოდა დერეფანში, რაღაც ჩვენს გარდა ათობით ადამიანი იყო. მერე ვილაცამ ურჩია, ჯერ გავესინჯე და შევედით ცალკე ოთახში. თუმცა, იქაც არ ვიყავით მარტო. სულ ექთნები მოძრაობდნენ. დიდი სტრესის ქვეშ მაყენებდნენ ექიმები. იურისტი ვარ და შემდეგ გავარკვიე რომ პროცედურები დარღვეული იყო. ჯანდაცვის სამინისტროში დავრეკე, სადაც მითხრეს რომ ექიმს ჯერ უნდა დაედასტურებინა შეწყვეტილი ორსულობა იყო ეს თუ ნაყოფის განუვითარებლობა. ეს მათ არ გაუკეთებიათ. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მედიკამენტოზური აბორტი არ გულისხმობს სტაციონარში განთავსებას. შესაბამისად, არ გაიცემა არანაირი ცნობა. აბორტის გამო გამოცდის გაცდენა მომიწია და რადგან შესაბამისი ცნობა ვერ მივიტანე, აღდგენაზე შეიქმნა ძალიან დიდი პრობლემა.

I had an abortion a year ago. I got married when I was 22 and got pregnant right away. I was very happy and had great plans. I did not know then that I was pregnant with twins, but I used to think about when and how my baby would be born. During my first prenatal visit with a doctor I was told that something was not as it should have been. 10 days later I paid my second visit and the doctor told me that the fetuses had not developed or grown any millimeters, neither their heart beat could be heard, therefore, they concluded that it was an involuntary fetal loss – a miscarriage. This was a very big stress, which I am still struggling to overcome. I had never ever thought about abortion before that. The doctor sounded categorical when she told me that the abortion was inevitable. I had an abortion under an enormous emotional pressure. The decision was made only on the basis of an ultrasonography. The doctor told me that a medication abortion procedure was to be performed immediately. She did not even lead me to a doctor's office. The decision was made right in the hall, where there were dozens of people. Then someone advised her to have additional medical examinations done before abortion and it was then when she finally took me into a separate room, though we were not alone there either, as nurses were coming in and out that room. I found myself way more stressed because of the doctors' behavior there. I am a lawyer and later I learned that the procedures were against all rules. I phoned the Ministry of Health, where I was told that the doctor had first to confirm whether it had been a miscarriage or a fetal growth restriction and developmental delay. They had not done so. In addition, it turned out that the medication abortion is not subject to inpatient hospital care and therefore I could not get any notice of illness. I had missed an exam at the university due to that abortion and as I failed to submit a notice of illness, I had problems to take that exam.



მარიტა  
27 წლის, თბილისი

MARITA  
27, from Tbilisi

რაიონში გავთხოვდი. აბორტი პირველად 21 წლის ასაკში გავიკეთე. ახალი ნამშობიარები ვიყავი, რომ დავფორსულდი და თან ეს საკმაოდ გვიან გავიგე. ოჯახმა გადაწყვიტა ეს ამბავი. დედამთილ-მამამთილზე ვიყავი ყველანაირად დამოკიდებული და მათ გადაწყვიტეს რომ არ უნდა გამეჩინა. არ გვქონდა საშუალება და ვერ წავედი მათ წინააღმდეგ. ასე რომ მოვქცეულიყავი, შესაძლოა ბავშვით ხელში ქუჩაში აღმოვჩენილიყავი. ამას ვამჯობინე არ გამეჩინა. ისე განვიცადე სიკვდილზე ფიქრობდი, მაგრამ, საბოლოოდ მაინც არ მივიღე ეს გადაწყვეტილება - ერთი შვილი უკვე მყავდა და მას ვჭირდებოდი.

მეორე შემთხვევა 26 წლის ასაკში მოხდა, როცა მეუღლეს უკვე გამორებული ვიყავი. არც მორალურად, არც ფსიქოლოგიურად და არც ფინანსურად მზად არ ვიყავი ბავშვის გასაჩენად. ექიმთან მისვლამდეც ვგრძობოდი რომ ფსიქოლოგის დახმარება მჭირდებოდა. ექიმები ისე ცივად უდგებიან ამ საკითხს - მართალია ცუდად არ გექცევიან, თითქოს ყურადღებასაც გაქცევენ, მაგრამ მაინც ...

ეს კანონი, ხუთ დღიანი მოსაცდელი პერიოდი, ძალიან ცუდია. ისედაც ძალიან დიდი წნეხის ქვეშ ხარ ადამიანი, აბორტის გასაკეთებლად რომ მიდიხარ. იქედან უკან რომ გიშვებენ და იცი კიდევ ხარ მისასვლელი, ის პერიოდი უფრო სტრესულია. მით უმეტეს, თუ რაიონიდან გინევს ჩამოსვლა - ერთხელ რომ ჩახვალ ქალაქში და ხუთ დღეში მეორედ მოგიწევს ჩასვლა, შეიძლება ვედარ დამალო ეს ამბავი და გაიგონ სხვებმა რომ აბორტს იკეთებ.

I had to move to a rural area when I got married. I had my first abortion when I was 21. It was soon after I had had my first baby when I learned about my second pregnancy. My husband's family made the decision that we couldn't afford having the second baby as we were being financially supported by my parents-in-law. It was because of that dependence that we couldn't act against their will; otherwise I could have found myself homeless living on the streets with a newborn baby. I preferred to give up thinking about the second baby. It was such a difficult decision that I wished I could die. But eventually I decided to have an abortion, I already had a child and he needed me as a mother.

I was 26 when I had my second abortion. Then I was already divorced and was not morally, psychologically or financially ready to have another baby. I felt that I needed a psychologist's help even before my visit with a gynecologist. Doctors take things like this easy; I cannot say that they treat patients badly or do not pay any attention to them... but still...

I disapprove of the law on abortion, which envisages a five-day wait time for a woman to make a final decision about whether to proceed with an unplanned pregnancy or not. This makes the process even more complicated as the women are under enormous pressure while making the decision on abortion. When they send you back and you know that you have to come back to the place again, it only adds to your stress. Especially when you have to travel from a village to the town. When a woman goes to the town and then again after five days, people may guess that the reason for your visits is abortion.



ეკა  
28 წლის, ქვემო ქართლი

EKA  
28, from Kvemo Kartli

9 წელია დაქორწინებული ვარ და 3 შვილი მყავს. პროფესიით იურისტი ვარ და ჩემი ბიზნესი მაქვს.

I have been married for 9 years and I have 3 children. I am a lawyer and I run my own business.

აბორტის გაკეთება ორჯერ დამჭირდა და ორივეჯერ ორსულობის ოთხ კვირამდე გავიკეთე. ერთხელ კლინიკაში მომცეს აბები, მეორედ ჩემით დავლიე.

I have had abortions twice and in both cases I had the abortions during the fourth week of my pregnancies. First time I had been given abortion pills at a medical facility and the second time I took them myself.

პირველად, ბავშვი მყავდა პატარა, თან ჯანმრთელობის პრობლემების გამო წამლებს ვსვამდი. ამიტომ, ვერ გავრისკავდი გაჩენას. ორსულობის შესახებ მხოლოდ მე და ჩემმა მეუღლემ ვიცოდით და ერთად გადავწყვიტეთ. აბორტის მეთოდის ასარჩევად გინეკოლოგს მივმართე. თითქოს ეს მედიკამენტოზური აბორტი იოლი გეჩვენება, მაგრამ ასე არაა. ბოლო წუთამდე ვმერყეობდი. ექიმი მეუბნებოდა გარისკე, იქნებ ბიჭი იყოსო, მაგრამ მაინც გავიკეთე.

The first time it was soon after I had had one of my babies and I had some health-related problems and was taking some medicines, and I thought it was risky to have a baby then. The only people in our family who knew about that pregnancy were my husband and me and we made the decision together. I consulted with a gynecologist to help me choose the right type of abortion procedure. The medication abortion might seem the easiest, but actually it is not. I could not make a decision until the last minute. Doctors tried to dissuade me from having an abortion, saying it might have been a boy. But eventually I had that abortion.

პირველი ვიზიტზე ექიმმა რომ მითხრა მხოლოდ ხუთი დღის მერე შემიძლია გავიკეთო, წავედი და 10 დღის მერე მივედი. ეს მოსაცდელი ვადა უფრო განერვიულებს, შეიძლება სინანულის გრძნობა გაგიჩინოს. მაგრამ, თუ ქალს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აბორტის გაკეთება, ხუთ დღიანი მოსაცდელი ვადა ვერ შეაფერხებს.

On my first visit with the gynecologist I was told that I could have had the abortion only after five days. I came back only after 10 days. This waiting period adds to your stress and can lead to prolonging the suffering and deepening the regret, as, if a woman is determined to have an abortion, a five-day wait time can do nothing to make her change her mind.

მეორედ რომ გადავწყვიტე აბორტი, ის აბები რაც პირველი აბორტის დროს კლინიკაში დამალევინეს, ჩემით შევიძინე აფთიაქში და დავლიე. გართულება არ მქონია.

When I decided to have an abortion for the second time, I went to the chemist's and bought the pills they had given me in the medical center during my first abortion and I took them. I did not have any complications.

ყველას ვურჩევ, ასეთი პრობლემები რომ არ შეექმნათ და სანანებელი არ გაუხდეთ, კონტრაცეფცია გამოიყენონ. თავის დაცვის საკმაოდ მრავალფეროვანი საშუალებები არსებობს.

My advice to everyone is to try to prevent such problems and to ensure that they will not have to regret something they have done. I advise them to use contraception. Nowadays women are offered a variety of ways of birth-control.



მაია  
35 წლის, სამეგრელო-სენაკი

MAIA  
35, from Senaki, Samegrelo

ქორწინებაში ექვსი წელი ვიყავი, ახლა განქორწინებული ვარ. ერთი შვილი მყავს. უმაღლესი განათლება მაქვს, მაგრამ ამჟამად დიასახლისი ვარ.

აბორტი 2016 წელს გავიკეთე, 33 წლის ასაკში, ორსულობის მეხუთე კვირაში.

მიზეზი იყო ის, რომ ახალი განქორწინებული ვიყავი. არასრულფასოვან ოჯახში ბავშვის გაჩენის კომპლექსი გამიჩნდა და ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. ვყოფიანობდი, მაგრამ, კარგად რომ გავიაზრე ჩემი მდგომარეობა მივხვდი, ბავშვის გაჩენას ვერ შევძლებდი.

აბორტის მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური პრობლემები ან არასასურველი (ქორწინების გარეშე) ორსულობა. „მინი აბორტის“ გავკეთება გადავწყვიტე ჩემით, იმდენად მცირე ვადის ორსული ვიყავი, ვიცოდი, ისედაც ამას გამიკეთებდნენ და არავისთვის მიმიმართავს რჩევისთვის. ექიმი ცდილობდა გადავერწმუნებინე იმ მოტივით, რომ სრულიად ჯანმრთელი, კიდევ ერთი სიცოცხლე შეემატებოდა ქვეყანას, თანაც, 33 წლის ვიყავი, მაგრამ არ დავუჯერე.

ექიმმა მაცნობა ხუთ დღიანი მოსაცდელი ვადის შესახებ, მაგრამ, მინდოდა რაც შეიძლება სწრაფად გამეკეთებინა. ვხვდებოდი, რაც მეტად გაიზრდებოდა ნაყოფი, მით მეტად გამიჭირდებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. ამიტომ, არც ერთი დღე არ მომიცდია. იმ დღესვე გავიკეთე. ექიმმა პროცედურა გაატარა, როგორც შეწყვეტილი ორსულობა. ჩემი მაგალითით გეუბნებით, რომ ხუთ დღიანი მოსაფიქრებელი ვადა არ შეამცირებს აბორტების რიცხვს. თუ ფსიქოლოგი ჩაერთვება საქმეში, სოციალური სააგენტო მხარს დაგიჭერს ბავშვის მოვლის უზრუნველყოფის მიზნით, იურისტი დაგეხმარება და ა.შ. კიდევ შეიძლება, სხვა შემთხვევაში აბრი არ აქვს.

ჩემი ისტორიიდან გამომდინარე, აბორტებს გამომწვევ ძირითად პრობლემად მიმაჩნია მენტალობა და სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულება მართხელა დედებისადმი.

I was married for 6 years. Now I am divorced. I have a child. I am a housewife now, even though I have received higher education.

I had an abortion in 2016 at the age of 33 and it was during the fifth week of my pregnancy.

The reason for my decision was that I had divorced my husband not long ago. Bringing up a child in a single parent family did not appeal to me and that was why I made the decision to have an abortion. First I hesitated, however after realizing my situation, I understood that I would not be able to bring up a child as a single parent.

Reasons for a decision to have an abortion include economic problems or unplanned or unwanted pregnancies (pregnancies outside of marriage). I decided to have a self-induced so called “mini abortion”. It was an early stage of pregnancy and I knew I would have been advised to have the “mini-abortion” if I had consulted with a gynecologist. Therefore, I decided not to consult with anyone. My doctor had tried to dissuade me from having an abortion, saying that I could have helped improve the demographic situation in my country by giving birth to a healthy child and I was 33 years old then. But I did not listen to her.

My doctor informed me about the five-day wait time before the abortion but I wanted to have the abortion as soon as possible, as I could realize that the older the fetus would grow, the more difficult it would have been for me to make such a decision. Therefore, I made a spur-of-the-moment decision and had the abortion the same day. The doctor registered the procedure as a premature termination of pregnancy. I think that the five-day wait time before abortion can do little to reduce the number of abortions. Involvement of a psychologist, assistance and support on the part of social agencies, support from a lawyer, etc. might make sense, otherwise it is in vein.

Judging from my experience, our mentality and the attitude towards single mothers displayed by the state and the society are the primary causes of increasing number of abortions in our country.



ეკა  
35 წლის, გურია

EKA  
35, from Guria

დიასახლისი ვარ, საშუალო განათლებით. ორი შვილი მყავს, 17 წელია დაქორწინებული ვარ და ამ ხნის განმავლობაში 15 აბორტი მაქვს დაკეთებული. პირველი 19 წლის ასაკში გავიკეთე, ბოლო სამი წლის წინ - 32 წლისამ. ძირითადად, 6-8 კვირის ვადაზე ვიკეთებდი აბორტებს. ძირითადი მიზეზი იყო უკიდურესი გაჭირვება. მეუღლემ გადამანყვეტინა აბორტები, რადგან ოჯახის რჩენა არ შეეძლო. ძალიან რთული იყო ეს ყველაფერი, სულ ვნერვიულობდი, მაგრამ, სხვა გზა არ მქონდა.

თითქმის ყველა აბორტი კლინიკაში გავიკეთე. ექიმის მხრიდან გადარწმუნების მცდელობა არ ყოფილა. 20-25 წუთს მაძლევდნენ ჩემს გადამწყვეტილებაზე დასაფქრებლად და მერე მიკეთებდნენ. არანაირი კვლევა არ ჩამიტარებია, თუმცა ექიმი ზეპირად მეუბნებოდა შესაძლო გართულებების შესახებ, მაგ. უთქვამს, ამდენი აბორტის მერე შეიძლება აღარ დაორსულდე ან საკვერცხეების პრობლემა შეგექმნასო.

თვითნებური აბორტს მხოლოდ ერთხელ მივმართე - ნახშირი დავლიე, რაც ძალიან ძვირად დამიჯდა. ანთება დამემართა. მაშინაც იმიტომ გავაკეთე ეს, რომ გინეკოლოგთან მისასვლელი თანხა არ მქონდა.

ხუთ დღიანი მოსაცდელი პერიოდის შესახებ არ მსმენია. მე პირადად ექიმი არ დამჭირვებია გადამწყვეტილების მისაღებად. ყოველთვის ჩემს თავს ვუსვამდი კითხვას, გამეჩინა ბავშვი თუ არა. ზოგადადაც, თუ ქალმა გადამწყვეტა აბორტი, ე.ი. არ აქვს შესაბამისი პირობები შვილის გასაჩენად. ამიტომ, ვფიქრობ, ეს ხუთი დღე მაინც ზედმეტი სტრესი და ნერვიულობაა ქალისთვის.

I am a housewife and my highest attained level of education is secondary education. I have two children. I have been married for 17 years and have had 15 abortions during this period. I had my first abortion at the age of 19 and my last abortion - three years ago, at the age of 32. In general, I had my abortions from the sixth to the eighth week of my pregnancies. The main reason was the extreme poverty. My husband was the initiator of the abortions as he found it difficult to sustain our family. Every time I found it hard to make such a decision. I worried a lot but there was nothing else to be done.

I had almost all the abortions in medical facilities. Doctors had never tried to dissuade me from having those abortions. I used to be given 20-25 minutes to make the decision and then I had abortions. I had never had any medical examinations; though doctors used to inform me about possible complications. I remember once a doctor told me that after so many abortions I might have had problems getting pregnant or problems with my ova.

It was only once when I decided to perform a self-induced abortion myself - I took some activated charcoal and it cost me a lot as I came down with inflammation. I did it because I could not afford a visit with a gynecologist.

I have never heard of a five-day wait time. I used to make these decisions without a help from a doctor. I used to ask myself whether I could afford another child or not. In general, if a woman makes a decision to have an abortion, it means that she cannot afford another child as she lacks appropriate conditions. Therefore, I think that this five-day wait time only adds to the stress for any woman.



მამა  
26 წლის, ქვემო ქართლი

MAIA  
26, from Kvemo Kartli

სკოლის მოსწავლე ვიყავი რომ გავთხოვდი და სწავლა შევწყვიტე. უკვე 10 წელია, რაც დაოჯახებული ვარ და სამი შვილი მყავს.

პირველივე ორსულობა აბორტით დასრულდა. მაშინ 16 წლის ვიყავი. ორგანიზმი მზად არ აღმოჩნდა ორსულობისთვის. ექიმმა მითხრა რომ შეიძლება ვერც ერთი ვერ გადავრჩენულიყავით, ამიტომ გავიკეთე აბორტი. მეორე აბორტი 17 წლისამ გავიკეთე - მიზეზი ამჯერადაც ნაყოფის ჯანმრთელობა იყო. დანარჩენი სამი აბორტის მიზეზი ფინანსური მდგომარეობა იყო.

პირველი ორი აბორტის დროს ვერც სინანულს ვგრძნობდი და ვერც ვერაფერს შიშის გარდა - პატარა ვიყავი, თან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობასაც ეხებოდა საქმე. დანარჩენი აბორტების შემთხვევაში თავს საშინელ ადამიანად ვგრძნობდი, მაგრამ, რა მექნა?! ვიცოდი, ნორმალურად მაინც ვერ გავზრდიდი და მაგათ მშვიერ ყონას ეს ვამჯობინე. თან, ეს გადაწყვეტილებები მხოლოდ მე არ მიმიღია - მეუღლე, დედამთილი, მული, ოჯახის სხვა წევრები, ყველა ჩართული იყო.

ექიმების დამოკიდებულება ყოველთვის არის ძალიან ცივი და გულგრილი. თავიანთ მოვალეობად პაციენტზე ზრუნვის მაგივრად, მხოლოდ ფულის აღება მიაჩნიათ. არ ვიცი ეს ითვლება თუ არა დისკრიმინაციად, მაგრამ, სულ მეგონა რომ რადგან სოფლიდან ვიყავი ჩასული და ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგიტომ მექცეოდნენ ასე აგდებულად და უყურადღებოდ. დამატებით ფულის ჩუქებას რომ არ შეგიძლია, სულ არ აინტერესებს როგორ ხარ, რა განუხებს, რას განიცდი. ასე არ უნდა იყოს ექიმი ფულზე დახამებული.

სოფელში მცხოვრები ქალების მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბევრი არაფერი ვიცით თავის დაცვაზე. გადაუდებელი კონტრაცეფციის არსებობის შესახებ რომ მცოდნოდა, შეიძლება ამდენი აბორტი არც დამჭირვებოდა. ისიც არ ვიცით საიდან უნდა გავიგოთ ეს ინფორმაცია. ექიმს კითხვას რომ უსვამ ორი სიტყვის თქმა ეზარება და აბა სხვა ვის უნდა ვკითხო?!

I was at school when I got married and I did not continue my studies. I have been married for 10 years and have three children.

My first pregnancy ended with an abortion. I was 16 and it appeared that my body was not ready for pregnancy. The doctor told me then that my child and I might both die and I was obliged to have an abortion. I had my second abortion at the age of 17 and the reason again was a poor health of the fetus. I had three more abortions and the reason was unfavorable financial situation, i.e. poverty.

I felt no regret or fear when I had my first two abortions as I was very young and my health was concerned. As for the subsequent abortions, I felt terrible, but I had no choice. I knew I could not bring them up and I preferred abortion to watching my own children being starved. Besides, I did not make these decisions alone - my husband, my mother-in-law, my sister-in-law, and other family members were all involved.

Doctors tend to be very cold and indifferent. Instead of taking care of their patients, the only thing they care about is money. I do not know whether this can be considered as a discrimination or not, but I think that the reason for them being so indifferent and inattentive was the fact that I was from a village and I did not know much. Now we are not allowed to pay some extra money to doctors for the service they provide, and they are not at all interested in how we feel, what problems we have, etc. It should not be so - doctors should not be focused on making money.

The main problem for women living in rural areas is that we do not know much about contraception. If I had known about the existence of emergency contraception, I could at least have had fewer abortions. We do not even know where to get this information. Doctors feel reluctant to answer the questions we ask them and who else should we ask?





6060

29 წლის, სამცხე-ჯავახეთი

NINO

29, from Samtskhe-Javakheti

უმაღლესი განათლება მაქვს, თუმცა პროფესიით არ ვმუშაობ. სოფელში, საოჯახო ბიზნესში ვარ ჩართული. სამი შვილი მყავს.

აბორტი ერთხელ გავიკეთე, 22 წლის ასაკში. პირველი შვილი 9 თვის მყავდა, ფეხიც არ ჰქონდა ჯერ ადგმული და ორი პატარა ბავშვს ერთად ვერ გავზრდიდი. გადაწყვეტილება დედასთან ერთად მივიღე. მეუღლემ არ იცოდა. ასეთ დროს დედის მხარდაჭერა მჭირდებოდა - ქალი ქალს მაინც უკეთ გაუგებს. ხარჯი საკმაოდ ბევრი იყო, მით უმეტეს, რომ ქალაქში მომიწია წასვლა აბორტის გასაკეთებლად.

კიდევ ერთი შემთხვევა იყო: ოთხი წლის წინ დავვორსულდი, მაგრამ არ მინდოდა გაჩენა. ორი შვილი უკვე მყავდა და მეტს არ ვგეგმავდი. ექიმთან რომ მივდი, მან უარი მითხრა იმავე დღეს აბორტის გაკეთებაზე. არ ეცალა. ძალიან ვთხოვდი რომ გაეკეთებინა, მაგრამ, არ დამთანხმდა. რამდენიმე დღის მერე ისევ მივდი, ისევ იგივე ექიმი შემხვდა, თბილი ქალი იყო, გულისხმიერი. მესაუბრა და მარწმუნებდა რომ არ გამეკეთებინა აბორტი. მეუბნებოდა რომ ეს იყო ძალიან დიდი ცოდვა და წამიყვანა ნაცნობ მოძღვართან. მოძღვარმაც ბევრი მესაუბრა, მერე მეუღლეც ჩაერთო საქმეში და საბოლოოდ გადამაფიქრებინეს.

I have received higher education but I decided to pursue a different carrier and now I help my family who run a family business. I have three children.

I have had an abortion only once, at the age of 22. At that time my first child was only 9 months old and I thought I would find it difficult to bring up two children together. I did not made the decision alone. My mother helped me. My husband did not know about my pregnancy. I thought I needed the support of my mother then, as she is a woman and a woman can understand another woman better. It was quite expensive especially because I had to go to the city to have the abortion there.

I had to make a similar decision four years ago when I learned that I was pregnant and I did not want to have another baby as I already had two children and I did not plan to have more. When I visited a doctor, she refused to immediately perform an abortion. She told me she was very busy. I asked her to perform it but she would not. After a few days, I visited the same doctor; she was a kindhearted person. She talked to me and tried to dissuade me from having an abortion, telling me that this was a deadly sin and she even took me to a pastor, who talked to me. Then I talked to my husband and I finally decided to have another child.



**გვანცა**  
36 წლის, კახეთი

**GVANTSA**  
36, from Kakheti

19 წელია დაქორწინებული ვარ, ორი შვილი მყავს - 18 და 13 წლის.

ორი აბორტი მაქვს გაკეთებული. ბოლოს 2 წლის წინ გავიკეთე. ნაყოფი საკმაოდ დიდი იყო, დაახლოებით 2.5 თვის. დიდხანს ვფიქრობდი გამეჩინა თუ არა. მაინც აბორტი გადავწყვიტე. ბიჭი მინდოდა და იმიტომ. გამიგია რომ გაჭირვების გამოც იკეთებენ აბორტებს, მაგრამ, ბავშვის სქესსაც გააჩნია. მამებს ბიჭი უნდათ და ცდილობს სქესი გაიგოს და მერე გადაწყვიტოს გააჩინოს თუ არა - მეც ეგ გამოვიარე.

თვითნებულ აბორტებზეც მსმენია, მძიმეების აწვევებზე და მსგავს რაღაცებზე. მეც დავეჭვიდე მძიმეებს, მაგრამ არ იმოქმედა და წავედი ექიმთან. საავადმყოფოში ნორმალურად მომექცნენ. გამომკითხეს ყველაფერი, დამელაპარაკნენ, გამოკვლევებიც ჩამიტარეს. 5 დღე მომცეს მოსაფიქრებლად. ერთ კვირაში მივედი და გავიკეთე.

I have been married for 19 years and I have two children. They are 18 and 13 years old.

I have had two abortions. I had the second abortion two years ago. It was during the third months of my pregnancy. It took me a long time to decide to have an abortion. It was because I wanted a son. I have heard that some woman decide to have an abortion because they can't afford another baby as they are poor. But there are also the cases of selective abortion. Fathers always want to have sons and women often decide whether to have an abortion or not only after they find out their unborn babies' sex.

I have heard that some woman decide to have a self-induced abortion: lifting heavy things and so on. I tried lifting heavy things but it did not work and I was obliged to visit a doctor. I was treated normally at the hospital. They asked me a lot of questions, talked to me, examined me and gave me a five-day wait time. I went back in a week and had an abortion.



სოფო  
35 წლის, კახეთი

SOPHO  
35, from Kakheti

საშუალო განათლება მაქვს მხოლოდ და სოფლის საცხოვრებელში ვმუშაობ. ორი შვილი მყავს. ერთხელ მომიწია აბორტის გაკეთება. გაჭირვება იყო მიზეზი - მაშინ ჩემი ქმარიც არ მუშაობდა, ბავშვი სკოლაში დადიოდა, ბევრი რაღაც სჭირდებოდა, მეორეს გაჩენის დრო არ იყო. ესაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც აბორტს იკეთებენ ქალები, თორემ შვილი ყველას უნდა. ბიჭის გამოც ბევრს გაუკეთებია სოფელში - გოგონებს იშორებენ.

ბევრი არ მიფიქრია. ვიცოდი რომ სხვა გზა არ მქონდა და დროის გაყვანას აზრი არ ჰქონდა. მეუღლემ კი იცოდა ამის შესახებ, მაგრამ, მე გადავწყვიტე. მგონია, რომ ქალმა უნდა გადაწყვიტოს ასეთი რაღაცები.

კლინიკა არის აქვე ახლოს, მაგრამ, ძვირია. მაგდენ ფულს ვერ გადავიხდიდი. მეზობლივან ვიცოდი, რომ ჩვენს მახლობლად ერთი ქალი აკეთებდა უფრო იაფად და იმასთან წავედი. ესეც არ იყო იაფი ჩემთვის, მაგრამ, კლინიკასთან შედარებით შეღავათი იყო. ბავშვი მეუღლეს დავუტოვე და მეზობელთან ერთად წავედი იმ ქალთან. წინასწარ დავრეკეთ და გველოდებოდა. არაფერი არ გვიკითხავს ერთმანეთისთვის - არც მე, არც მას. ისე გააკეთა როგორც საჭიროდ ჩათვალა. რომ შემამჩნია ვნერვიულობდი, ცოტა დამამშვიდა და მერე გამიკეთა.

ბევრი ისტორია გამიგია, თავისით რომ იკეთებენ აბორტებს ქალები. მეზობლები მიყვებოდნენ ცხელ აბაზანებზე, რაღაც მცენარეებზე, მძიმეების აწევაზე, აბებზე. რა თქმა უნდა, პრობლემაა რომ არ შევიძლია საავადმყოფოში მიხვიდე და დაცულად ჩაიტარო ყველაფერი, მაგრამ სხვა გზა რომ არ გრჩება, რისკავ. ფინანსებთანაა ყველაფერი დაკავშირებული.

I did not continue studies after graduating from a secondary school and now I work at a village bakery. I have two children. I have had an abortion only once. That was because I could not afford another child as my child went to school and needed so many things, and my husband was unemployed at that time. This is the most common reason for women to decide to have an abortion as, I think, all women desire children. Some couple in the village decide to have abortion because they want a son and they learn that their future child is going to be a girl. The selective abortion of female fetuses is quite frequent.

It did not take me long to decide to have an abortion. I had no choice and postponing the abortion was useless. My husband knew about it, but it was me who decided to have an abortion. I think that women should decide such things.

A medical center is not far from the place where we live, but the service there is expensive. I could not afford it. My neighbor had told me about a woman who performed abortions and did not charge much. So I went to that woman. It was not very cheap but her service was not as expensive as that provided in the medical center. I left my child with my husband and went to that woman accompanied by one of my neighbors. We had called her in advance and she was waiting for us. We did not ask anything to each other - I did not have anything to ask her and neither did she. She performed the abortion as she thought was appropriate. When she noticed that I was a bit nervous, she tried to comfort me and she performed the procedure only after I had calmed down.

I have heard a lot of stories about the women who have self-induced abortions. My neighbors have told me about hot bathes, some herbs, about women who lift heavy things or take some pills. Of course, the problem is that women cannot afford to go to a hospital and have the procedure performed safely, but when you have no choice, you risk. Everything depends on finances.



ნათია  
28 წლის, სამცხე-ჯავახეთი

NATIA  
28, from Samtskhe-Javakheti

სამი შვილი მყავს - 10, 8 და 2 წლისები. უმაღლესი განათლება მაქვს, მაგრამ, ამჟამად დიასახლისი ვარ.

I have three children; they are 10, 8 and 2 years old. I am a housewife now, even though I have received higher education.

ექვსი აბორტი მაქვს გაკეთებული. მეუღლესთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში.

I have had six abortions. In all the cases I made the decision together with my husband.

მთავარი პრობლემა რაც მხვდებოდა არის კლინიკის სიშორე. სოფელში ვცხოვრობ, კონსულტაციამაც და აბორტზეც ქალაქში მიწევდა ჩასვლა. მანძილი შორია, მგზავრობა ძვირი. თავად პროცედურის ფასიც ძვირდება, ყოველ ჯერზე უფრო მეტის გადახდა მომიწია. ბავშვების დატოვების პრობლემაც მქონდა. რამდენჯერმე თან წავიყვანე. ბოლოს რომ გავიკეთე აბორტი დიდები იყვნენ და დაქალს ვთხოვე მიეხედა, ვეღარ წავიყვანე.

The main problem in rural areas is the remoteness from medical facilities. I live in a village and I have to go to the town to consult with a doctor or to have an abortion. The distance is long, the journey is expensive. The cost of the procedure itself is expensive, and I had to pay more and more every time I had an abortion. I had a problem of leaving my children. I took them with me several times. Last time I had an abortion, I asked my friend to stay with them as there were not young and I could not take them with me.

ხუთ დღიანი მოსაფიქრებელი ვადის შესახებ არ მსმენია, თუმცა ჩემს შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა ამას - მაინც არ შევიცვლიდი გადაწყვეტილებას. პირიქით, ხარჯები გამეზრდებოდა.

I have never heard of a five-day wait time, but in my case it would not have worked - I would not have changed my mind. It would have increased my expenses and that is all.

თავდაცვის საშუალებებიც არაა ჩვენთვის - სოფელში მცხოვრები ქალებისთვის - იმდენად ხელმისაწვდომი. ელემენტარულად, აფთიაქი არაა ახლოს. ამას ემატება ფინანსური პრობლემები. ინფორმაციაც არ გვაქვს ბევრ რამეზე. გადაუდებელი კონტრაცეფციის არსებობის შესახებ დიდხანს არც ვიცოდი.

Contraception is another problem for us - for the women living in rural areas. There is no chemist's near the place where we live. In addition, we have financial problems as well. We do not have much information. I learned about the existence of emergency contraception not long ago.



თამუნა  
29 წლის, სამეგრელო-სენაკი

TAMUNA  
29, from Senaki, Samegreloi

10 წელია დაქორწინებული ვარ და ორ შვილი მყავს.

I have been married for 10 years and I have two children.

აბორტი ერთხელ გავკეთე. მთავარი მიზეზი რის გამოც ამაზე დავფიქრდი მატერიალური პრობლემები იყო. მერე გავიგე რომ ნაყოფის განვითარებაშიც იყო მცირე შეფერხება და საბოლოოდ გადავწყვიტე აბორტი გამეკეთებინა.

I have had an abortion only once. What made me arrive to this decision was the poverty and material problems I had. Then I found out that the fetus had some problems with growth and development and I finally decided to have an abortion.

დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება - მეუღლემაც არაფერი იცოდა. ზოგადად ვფიქრობ რომ ცოლ-ქმარმა ერთად უნდა მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილებები, მაგრამ, მე ვერ ვუთხარი. საკუთარი შემოსავალი არ მაქვს და გამომდინარე იქნედან რომ არავინ იცოდა ამის შესახებ, აბორტის და სხვა ხარჯებისთვის საჭირო ფული ნაცნობისგან ვისესხე.

I made this decision independently; my husband knew nothing about it. In general, I think that such decisions should be taken jointly by a couple, but I found it difficult to inform my husband about it. I do not earn anything and as long as I did not tell anything to anyone, I had to borrow some money from one of my acquaintances to pay for the abortion procedure.

სავადმყოფოში თავს დაცულად ვერ ვგრძნობდი - კაბინეტში ექიმთან და ექთანთან ერთად ვიყავი, მაგრამ ვარი ღია იყო და სხვა ექთნები და ექიმები შემოდის და გადიოდნენ. ბლანკი, სადაც ექიმმა ჩემი პირადი მონაცემები ჩაიწერა სულ სხვა ექიმმა აიღო და სადღაც წაიღო და ა.შ. პროცედურის ჩატარებამდე რაღაცეები მკითხა, მაგრამ, ზედაპირულად. გულისხმიერი კი არა ფულისმიერი უფრო იყო ეს გასაუბრება. ექიმებს ეს უფრო აინტერესებთ.

I did not feel secured in the hospital - I was with the doctor and the nurse in the doctor's office but the door was open and other nurses and doctors came in and out. Another doctor took the form I had filled in with my personal information and took it somewhere, etc. The doctor asked me some questions before the procedure, but our conversation was far from being open and sincere, it was much more money-oriented. Money is something that doctors are interested in the most.

ხუთ დღიანი ვადის შესახებ ექიმს არაფერი უთქვამს, მე თვითონ მოვიძიე ინფორმაცია. თუმცა ამას აზრი არ ქონდა. ამით, საფრთხე ჩნდება რომ სხვებმა გაიგონ აბორტის შესახებ, ჩაერიონ და გადაგაფიქრებინონ, თორემ, ქალმა თუ გადაწყვიტა აბორტი ხუთ დღეში თავისით არ გადაიფიქრებს.

I had not informed about the five-day wait period. I searched and found the information myself, but it made no difference. It only makes it easier for others to learn about your intention to have an abortion; they might decide to interfere and try to dissuade you from having an abortion. Otherwise, if a woman has decided to have an abortion, she will not change her mind in five days.

**ისტორიები მოძიებულია კვლევის  
„ბარიერები უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის გზაზე“ - ფარგლებში.  
კვლევა ჩატარდა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“-ს მიერ ბიოგრაფიულ-ნარატიული  
ტექნიკის გამოყენებით, საველე სამუშაოები ჩატარდა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“-ს  
ბაზაზე შექმნილი მკვლევართა ჯგუფის მიერ, კვლევამ მოიცვა 7 რეგიონი:  
თბილისი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, გურია  
და გამოიკითხა 90 ქალი.**

**მადლობა თითოეულ რესპონდენტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა**

**Copyright © 2018 ასოციაცია, ჰერა XXI”**

**თბილისი  
2018 წელი**

